ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



**პროკურატურა: რუსთაველზე ავტოავარიაში ბრალდებულ გიორგი ჯაფარიძეს მარიხუანის მოხმარება დაუდგინდა**

გვ.5

**3 თებერვლიდან**

**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



შაბათი – კვირა, 4 – 5 თებერვალი, 2017

№28 (7264)

ფასი: 50 თეთრი

# ვინ ახორციელებს მოსამართლეებზე ზეწოლას





გვ.2

„ერთადერთი სახელისუფლებო შტო, რომელიც დანაშაულში ჩართული არ არის, პრეზიდენტის შტოა. ჩვენ ვთხოვთ მას, რომ ღრმად შეისწავლოს ეს საქმე. ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს პროკურატურისგან, რომ გამოქვეყნდეს ამ განცხადების შინაარსი და შეწყდეს ზეწოლა მოსამართლეებზე არა მხოლოდ ჩვენი საქმის გადაწყვეტილების ნაწილში, არამედ იმ ნაწილში, რომ მათ შეცვალონ ამ განცხადების შინაარსი"



„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოიქცა სწორად და მას, პირიქით, ეკუთვნის შექება იმისთვის, რომ მალევე გადაგზავნა პროკურატურაში ეს საქმე, სწორედ ამაში გამოიხატება მისი მოკავშირეობა საკუთარი მოსამართლეებისადმი, რადგან მას ასე ევალებოდა კანონით. გამოუცხადა მხარდაჭერა იმ თავის კოლეგებს"

## „მქონდა ჩანაწერი, როგორ მიმართა შევარდნაძემ კრემლს გამსახურდიას წინააღმდეგ სამხედრო დახმარებისთვის“



განდევნილი ქართველის ბედი

გვ.5



## „სოხუმი თბილისისგან შველას ითხოვს“

ემზარ კვიციანი: „მიმდინარეობს აფხაზეთის არმენიზაცია“

გვ.3

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილს თემურ ალასანია მართავდა“



„მათი მეშვეობით საქართველოში ყველაფერს რუსეთის უშიშროება წყვეტდა“

გვ.4

## ვახტანგ ძაბირაძე: „დღეს საქართველოში პოლიტიკური ელიტის პრობლემაა“

გვ.3





## ლარიზაციის გეგმამ არ გაამართლა

გვ.6

ემზარ ჯგერენაია: „მოსახლეობის ძალიან დაბალმა პროცენტმა გადაიტანა სესხი დოლარიდან ლარში“

ISSN 1987-9385

## სწრაფ ჩარიცხვაზე 15-20%-იანი საკომისიო დაწესდა



ონლაინ სესხების ორგანიზაციებმა ახალი ხრიკი მოიგონეს

გვ.6

# ვინ ახორციელებს მოსამართლეებზე ზეწოლას

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს მთავარი პროკურატურა რუსთავი 2-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საქმიანობაში შესაძლო ჩარევის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს. გამოძიება მიმდინარე წლის 14 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ბესარიონ ალავიძის და პაატა ქათამაძის განცხადებისა და სასამართლოს მიმართვის საფუძველზე დაიწყო.**

რამდენიმე დღის წინ კი უკრაინულ მედიაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და მთავარი პროკურორის მიმოწერა გამოქვეყნდა, სადაც მოსამართლეების მოსყიდვაზეა საუბარი.

ამ სავარაუდო მიმოწერას საოცარი ოპერატიულობით გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატი. მათ პროკურატურას ამ საქმის სასწრაფოდ გამოძიებისკენ მოუწოდეს.

პროკურატურის განმარტებით, მათ საქმის შესწავლა, 14 იანვარს დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაიწყეს. სავარაუდო მიმოწერის ფიგურანტები კი ამ ყველაფერს ხელისუფლების მიერ დადგმულ სპექტაკლს უწოდებენ.

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებამ მოსამართლეებზე ზეწოლაში ის დაადანაშაულოს. გვარამიას განცხადებით, საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეები, უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეები „სისტემას შიგნიდან ამხელენ, ამხელენ ხელისუფლებას შიგნიდან და აცხადებენ მათზე მიმდინარე უხეშ ზეწოლაზე."

— ასეთი ტიპის განცხადებები ჩვენ ნანახი გვაქვს, ერთი იყო ია ბარამიძე, როდესაც მაშინდელმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, გამომდინარე საზოგადოებრივი მაღალი ინტერესიდან გააკეთა საჯარო განცხადება. და ეს იყო სწორი, ეს იყო სამოქალაქო გმირობა მისი მხრიდან.

ჩვენ გვაქვს შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ და წევრებმა გააკეთეს ასეთივე განცხადება, რაც სწორი იყო, და ჩვენ გვაქვს პირველი შემთხვევა, როდესაც ამას აკეთებს საქმის განმხილველი მოსამართლე.

როდესაც მოსამართლესთან უკანონო კომუნიკაცია მიმდინარეობს, ეს ჯდება არა სისხლის სამართლის, არამედ სხვა კანონში, ე.წ აკრძალული კომუნიკაციის კანონში და ხდება მიმართვა იუსტიციის საბჭოსთვის და დაჯარიმება უკანონო კომუნიკატორის. მაგრამ როგორც ჩანს, ეს არ არის შემთხვევა უბრალოდ უკანონო კომუნიკაციის, ეს არის შემთხვევა, როდესაც მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ მათზე მიმდინარეობს იმგვარი ზეწოლა, რომელიც უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის ნორმებით. — განაცხადა გვარამიამ.

მას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან აქვს კითხვები და აინტერესებს, რატომ არ მოიქცა ის ისე, როგორც მოიქცა მისი წინამორბედი.

— რატომ არ მოხდა ამ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გასაჯაროება. თუმცა ცხადია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეების მოკავშირე არ არის, იგი არის სახელმწიფოს მოკავშირე მოსამართლეების წინააღმდეგ. მან პროკურატურაში გადააგზავნა ეს საქმე და მეორე დღიდან ამ მოსამართლეებზე დაიწყო უმძიმესი ზეწოლა საიმისოდ, რომ მათ გაეტანათ ან შეეცვალათ განცხადებაში მოყვანილი მოტივაცია, უფრო სწორედ, სუბიექტები, დაესახელებინათ არა ხელისუფლება, არამედ ჩვენი მხარე; ან ის ადამიანები რომლებიც, ვითომდა არიან ჩვენი მხარე, — აღნიშნავს რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი.



გვარამიას განცხადებით, ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ხელისუფლების ყველა შტო ჩართულია ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში. მისივე თქმით, დანაშაულში მხოლოდ ერთი შტო არ მონაწილეობს.

— ერთადერთი სახელისუფლებო შტო, რომელიც ამაში ჩართული არ არის, პრეზიდენტის შტოა. ჩვენ ვთხოვთ მას, რომ ღრმად შეისწავლოს ეს საქმე. ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს პროკურატურისგან, რომ გამოქვეყნდეს ამ განცხადების შინაარსი და შეწყდეს ზეწოლა მოსამართლეებზე არა მხოლოდ ჩვენი საქმის გადაწყვეტილების ნაწილში, არამედ იმ ნაწილში, რომ მათ შეცვალონ ამ განცხადების შინაარსი.

ასევე ვთხოვ გაითვალისწინოს ყველამ, რომ ჩემთან სეპარატული მოლაპარაკებების წარმოება არის აბსოლუტურად განწირული. მე არ შევდივარ მოლაპარაკებებში იმ ვითარებაში, როდესაც ვარ აბსოლუტურად მართალი და მეორე მხარე ცდილობს ჩემს დაჩაგვრას, ჩემს და ჩემს უკან მდგომი ათასი თანამშრომლის დაჩაგვრას, — აღნიშნა გვარამიამ.

* * *

მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლის ფაქტზე 3 თებერვალს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე შეხვდნენ ერთმანეთს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ლევან მურუსიძემ განაცხადა, რომ მან გვენეტაძისგან მოსამართლეებზე განხორციელებულ შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებით მიიღო ინფორმაცია.

მურუსიძის განცხადებით, საუბარია ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან მოსამართლეებისთვის გაგზავნილ წერილებზე, რომელიც ავთენტურობის დადგენის მიზნით პროკურატურას გადაეგზავნა.

— სამწუხაროა, რომ ჩემთვის ცნობილი გახდა ფაქტიურად ახლა. არც მოსამართლეებს არ მოუმართავთ ჩემთვის ამასთან დაკავშირებით. ერთადერთი, რაზეც შემიძლია გითხრათ, საუბარი არის, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნის სახელით მოუვიდათ აღნიშნულ მოსამართლეებს წერილები, ასევე იყო სატელეფონო შეტყობინება, რომელიც ამ მოსამართლეების მიერ მიტანილ იქნა უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელთან და გადაგზავნილ იქნა პროკურატურაში, — განაცხადა ლევან მურუსიძემ.



საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ნიკა გვარამიამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არაკოლეგიალობაში დაადანაშაულა, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კი მიიჩნევს, რომ გვენეტაძე ქების ღირსია.

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოიქცა სწრაფად და მას, პირიქით, ეკუთვნის შექება იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე გადაგზავნა პროკურატურაში ეს საქმე, სწორედ ამაში გამოიხატება მისი მოკავშირეობა საკუთარი მოსამართლეებისადმი, რადგან მას ასე ევალებოდა კანონით. გამოუცხადა მხარდაჭერა იმ თავის კოლეგებს, ვისზეც, როგორც ეს კოლეგები ამბობენ, ყოფილი მაღალჩინოსნებისგან ხორციელდებოდა და ხორციელდება ზეწოლა. უნდა ვიყოთ მოხარულნი, რომ არავინ დახუჭა თვალი ამგვარ ბრალდებაზე, რომელიც მომდინარეობს არა რიგითი მინისტრისგან ან რომელიმე მოქალაქისგან, არამედ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისგან, — განაცხადა თეა წულუკიანმა.



საპარლამენტო უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ გამოძიება უმოკლეს ვადაში უნდა დასრულდეს. გამოძიების დასრულებამდე კი იმას ამტკიცებენ, რომ მოსამართლეებზე მუქარის პროცესი ყოფილი ხელისუფლების მიერ არის მართული.

„ქართულ ოცნებაში" ამტკიცებენ, რომ პროკურატურა საქმეს სათანადოდ გამოიძიებს. ოპოზიციას კი ამის არ სჯერა. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზაზა ბიბილაშვილი ამბობს, რომ ივანიშვილის პროკურატურას 0%-იანი სანდოობა აქვს.

მისი თქმით, მოსამართლეების შესაძლო ზეწოლაზე ატეხილი ამბავი ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ხელში ჩაგდების მცდელობასთან არის დაკავშირებული.

— ივანიშვილის პირობებში გამოძიებას და პროკურატურას აქვს ნული სანდოობა. ბუნებრივია, ჩვენ არ გვჯერა არაფრის, რასაც ეს გამოძიება აკეთებს, რადგან საკუთარ ნამოქმედარს ისინი, ბუნებრივია, არასდროს გამოიძიებენ. ფაქტი არის ერთი და მარტივი, ჩვენ ვამბობდით, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მიენიჭებოდა ვიზალიბერალიზაცია, მკვეთრად გაიზრდებოდა რისკი იმისა, რომ ივანიშვილი განაახლებდა შეტევას რუსთავი 2-ის ხელში ჩასაგდებად. რუსთავი 2-ის დაცვა არის ქართველი ხალხის ხელში, — განაცხადა ბიბილაშვილმა.

ხელისუფლების და გამოძიების არც რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს თამარ კორძაიას არ სჯერა. ის ვერ ხედავს მოტივაციას, თუ რატომ უნდა განახორციელოს ყოფილმა ხელისუფლებამ მოსამართლეებზე ზეწოლა.

მისი თქმით, ხელისუფლების ყველა ქმედება ამტკიცებს, რომ „ქართული ოცნება" გადასულია სასამართლოს ზეწოლაზე. ბიბილაშვილის მსგავსად კორძაიაც ფიქრობს, რომ ეს აჟიოტაჟი რუსთავი 2-ის საკითხს უკავშირდება.

— ხელისუფლება ზეწოლას ახორციელებს სასამართლოზე, უზენაესის მოსამართლეებზე. ფსევდოდემოკრატიის აქტიური ფაზა დაიწყო ჩვენს ქვეყანაში. პრობლემა იმაშია, ვიღაცა ერთმა ადამიანმა გადაწყვიტა, რომ ეს არის სამართლიანი და ეს არის სწორი, რომ რუსთავი 2 დაუბრუნდეს თავის ყოფილ მმართველს. ის თვლის, რომ მთავარია ის სამართლიანობა ასრულდეს, რასაც თვითონ ფიქრობენ, თორემ კანონი რას ამბობს, ეს მეორეხარისხოვანია, — ამბობს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია კი მიიჩნევს, რომ რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს ორ მოსამართლეზე, პაატა ქათამაძესა და ბესარიონ ალავიძეზე, სუს-ი ზეწოლას ახორციელებდა.

— გაირკვა, რომ 14 იანვარს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა მიმართეს გენპროკურატურას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, იგივე სუს-ი, ახდენდა ზეწოლას მოსამართლეებზე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. ეს კონკრეტული საქმე გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, რუსთავი 2-ის საქმე. შეგახსენებთ, რომ ამ უწყებას ხელმძღვანელობს ბიძინა ივანიშვილის ყოფილი დაცვის უფროსი, ბატონი გომელაური, — განაცხადა მელიამ.

სერიოზული კითხვები აქვს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილსაც.

ნაცვლიშვილის განცხადებით, რუსთავი 2-ის საქმე თავიდანვე გამოირჩეოდა საქმის სირთულით და ამ სირთულის შემადგენელი ნაწილი იყვნენ რუსთავი 2-ის საქმის განმხილველი მოსამართლეები, რომლებზეც ძალიან ბევრის კითხვის ნიშანი იყო.

— ის ინფორმაცია, რაც გახდა ცნობილი, არის შემაშფოთებელი, მოსამართლეებზე ზეწოლას რომელიც ეხება და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ფაქტი იყოს გამოძიებული. ის რომ ამ გამოძიებამ არსებული კითხვის ნიშნები და ეჭვები მოხსნას. თუმცა, სამწუხაროა, რომ საზოგადოებაში ძალიან დაბალია მოლოდინი იმისა, რომ ეს გამოძიება მივა ლოგიკურ დასასრულამდე. ძალიან ცუდია, რომ საზოგადოების ნაწილი ვერ ენდობა პროკურატურას, — განაცხადა ნაცვლიშვილმა „კურიერთან" საუბრისას.

უზენაესი სასამართლოს ორ მოსამართლეზე განხორციელებულ შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებაში პრეზიდენტიც აქტიურად ჩაერთვება. ამის შესახებ ჟურნალისტებს მისმა მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ განუცხადა.

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ვიტყვი ერთ რამეს, რომ პრეზიდენტი ძალიან აქტიურად აპირებს ჩაერთოს ამ საკითხის გარშემო ინფორმაციის მოძიებაში და ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც ამ გაჩენილ კითხვის ნიშნებს პასუხს გასცემს. ეს არის ძალიან რთული თემა, როდესაც მოსამართლეები ლაპარაკობენ გარკვეულ ზეწოლაზე და ეს მითქმა-მოთქმა კი აღარ არის, არამედ, არის უკვე ოფიციალური პროცესი. ბუნებრივია, პრეზიდენტი ძალიან აქტიური იქნება და ის ყოველთვის იცავდა და დაიცავს მოსამართლეებს, — განაცხადა ჩიხრაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „დღეს საქართველოში პოლიტიკური ელიტის პრობლემაა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო კოდექსსა და მასში შესატან ცვლილებებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, რამდენად რეალურია, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცეთ მხოლოდ პარტიებს და არა პოლიტიკურ ბლოკებს, ბლოკის შემთხვევაში კი საარჩევნო ბარიერი გაიზარდოს?***

– არა მგონია, ეს სწორი მიდგომა იყოს. თუ ეს საკითხი საკონსტიტუციო კომისიის კენჭისყრაზე დადგება, არ ვიცი, რა მოხდება, გავა თუ არა ეს იდეა. ასეთი რეფორმის მომხრე ნამდვილად არ ვარ. მე მომხრე ვარ, რომ საკონსტიტუციო კომისიაში რა საკითხიც დადგება, მისი კენჭისყრა ღია წესით მოხდეს, რათა საზოგადოებამ იცოდეს, ვინ რას უჭერს მხარს. ხელისუფლებას საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს და ნებისმიერ საკითხს გაიტანს, მაგრამ ეს არ შედის „ქართული ოცნების“ ინტერესში.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ამით ვერაფერს მოიგებს. საკმარისია, ჩვენი ქვეყნის ბოლო 25 წლის ისტორიას გადავავლოთ თვალი. კომისიაში არის ხალხი, ვინც ამ პროცესებში 1987 წლიდან პირადად არის ჩართული და მათ მაინც კარგად უნდა იცოდნენ, რა შეიძლება ამას მოჰყვეს.

***– რა შეიძლება მოჰყვეს?***

– პროცესი გადავა ქუჩაში. თუ ქუჩისკენ მივდივართ, მაშინ ღიად ვთქვათ. კონსტიტუციასაც და სხვა ნებისმიერ კანონსაც საფუძველი და საყრდენი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებს მის არსს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ შედის „ქართული ოცნებისა“ და არც ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ინტერესებში.

***– საარჩევნო კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით დიდი ვნებათაღელვაა. რა მოდელისკენ გადაიხრება კომისია?***

– ვერ გეტყვით, უამრავი მოდელი განიხილება. ერთი ვარიანტია, რომ დარჩეს, რაც არის, მეორე – იყოს სრულად მაჟორიტარული. მესამე ვარიანტია რეგიონული, მეოთხე – რეგიონულ-პროპორციული, ანუ შერეული. მეც წარვადგინე ერთ-ერთი განსხვავებული ვარიანტი. ამ ვარიანტზე დიდი ხანია ვსაუბრობ, მაგრამ ის არ აწყობს არც ხელისუფლებას და არც პოლიტიკურ ელიტას.

***– როგორია თქვენი ვარიანტი?***

– ეს ვარიანტი ხმის მიცემის წესით განსხვავდება – 150-ვე მანდატი იყოს მაჟორიტარული სისტემით, მაგრამ ამომრჩეველმა ხმა უნდა მისცეს თავის ოლქში სამ კანდიდატს. პირველი იქნება 10-ქულიანი, მეორე – 9-ქულიანი და მესამე – 8– ქულიანი. სწორედ ამ ქულების შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული.

ჩემი აზრით, ეს არის ყველაზე კარგი სისტემა. ამ სისტემას ყველა ხარვეზი, რომლებიც შეიძლება არჩევნებს ახლდეს – გაყალბება, მოსყიდვა, კარუსელი – ნულის ტოლამდე დაჰყავს, მაგრამ ეს სისტემა არცერთ პოლიტიკურ ელიტას არ აწყობს.

***– რატომ, რთული სისტემაა?***

– ხელისუფლებას არ აწყობს იმიტომ, რომ მისი ზემოქმედება არჩევნებზე მინიმუმამდე დადის, ოპოზიციურ ელიტას არ აწყობს იმიტომ, რომ ის ყოველთვის გამსვლელ სიაშია და მას პროპორციული სისტემა აწყობს.

წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, როდესაც რომელიმე პარტიის ლიდერი იძულებული იქნება, კენჭი იყაროს რომელიმე ოლქში და ასევე იმავე პარტიის მე-17 კანდიდატი მასთან ერთად იქნება იმავე ოლქში წარმოდგენილი, როგორც კანდიდატი და მან მოიგოს, ლიდერმა კი წააგოს?!

დღეს საქართველოში პოლიტიკური ელიტის პრობლემაა, რაც მკაფიოდ დაადასტურა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა.

***– ბატონო ვახტანგ, ხომ არ ფიქრობთ, რომ მაღალი საარჩევნო ბარიერი ყველაფერს დაალაგებდა და მხოლოდ ძლიერ პარტიებს გადაარჩენდა, ეს კი ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ძლიერი პარტიული სისტემის განვითარებას?***



– 1995-99 წლების პარლამენტში საკითხი დაისვა, რომ არსებული საარჩევნო ბარიერი უფრო დაბლა დაეწიათ.

***– მაგრამ 7%-მდე აიწია.***

– დიახ, ხომ არ გახსოვთ მიზეზი, რატომ? სწორედ იმ არგუმენტით, რომელიც ახლა თქვენ მოიყვანეთ. ზუსტად ეს გახლდათ მიზეზი და ამას მოჰყვა ვარდების რევოლუცია.

თუ საარჩევნო ბლოკების შექმნის შესაძლებლობას არ დავუტოვებთ პოლიტიკურ სპექტრს, პროცესები გადავა ქუჩაში. აუცილებლად გადავა, რადგან არ იარსებებს არავითარი ალტერნატივა. ჯობია, იყოს პოლიტიკური ბლოკები და პროცესები დარჩეს შიგნით, ვიდრე ავკრძალოთ და შემდეგ პოლიტიკური პროცესები მივილოთ ქუჩაში. არ მინდა, ვინმემ გაიგოს, რომ თუ ბლოკები არ აიკრძალება, პროცესები ქუჩაში არ გავა, მაგრამ ეს აკრძალვა აუცილებლად იქნება ერთ-ერთი მაპროვოცირებელი. ვის უშლის 235 პარტიის, გნებავთ, 2.035 პარტიის ქაღალდზე არსებობა?

***– სახელმწიფო დაფინანსებას ითხოვენ.***

– კი ბატონო, მოვაგვაროთ საკითხი, ვინ უნდა იყოს კვალიფიციური სუბიექტი, ვის უნდა ჰქონდეს საეთერო დრო, ვის – არა და ა.შ. ჩემი იდეაა, საარჩევნო ბლოკის შექმნა კი არ ავკრძალოთ, არამედ შეიქმნას ბლოკი და მისი უფლებამოსილება იყოს ისეთი, როგორიც ერთი პარტიის უფლებამოსილებაა დღეს. საარჩევნო ბლოკს უნდა ჰქონდეს ზუსტად ისეთი სამართლებრივი უფლებამოსილება, როგორიც – ცალკე აღებულ ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს.

# „სოხუმი თბილისისგან შველას ითხოვს“

შორენა მარსაგიშვილი

## ემზარ კვიციანი: „მიმდინარეობს აფხაზეთის არმენიზაცია“

**რატომ დუმს ხელისუფლება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, ვინ გეგმავს პოლიტიკოსების მასობრივ ლუსტრირებას, როდის იწყება ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღა, რა შეიცვლება საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების შემდეგ? – ამ თემებზე „ახალ თაობას" პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.**

***– საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. არიან ისეთებიც, ვინც ამბობს, რომ დიდი არაფერი მომხდარა. რას ფიქრობთ ამაზე პატრიოტთა ალიანსში?***

– პირადად ჩემთვის არაფერი შეცვლილა, როგორი სვანიც ვიყავი, ისეთივე სვანად დავრჩი. ამის გარდა, როგორც დეპუტატს, მაქვს დიპლომატიური პასპორტი და ყველგან შემიძლია წასვლა. ჩემგან განსხვავებით, ვიზალიბერალიზაცია მოსახლეობაზე დადებითად აისახება, განსაკუთრებით მათზე, ვინც ევროპაში სამუშაოდ არის წასული. ბევრი მათგანი იქ არალეგალურად ცხოვრობს და ამის გამო წლებია, სახლში ვერ ჩამოდიან, ეშინიათ, რომ სამსახურში ველარ დაბრუნდებიან.

ევროპარლამენტის გადაწყვეტილებამ შესაძლოა ჩვენ რუსეთის მიმართულებითაც მოგვიტანოს დადებითი შედეგი. 2012 წელს ქართულმა მხარემ რუსეთთან ვიზები გააუქმა, მოსკოვი კი ამის გაკეთებას არ ჩქარობს. იმედი მაქვს, ახლა პოზიციას შეცვლიან, ამით კი ჩვენი ქვეყანა მოიგებს.

ევროპისა არ იყოს, რუსეთშიც ძალიან ბევრი ქართველია არალეგალურად ჩასული. გარდა იმისა, რომ სახლში ვერ ბრუნდებიან, იაფ მუშახელადაც ითვლებიან. საერთოდ ასეა, ვინც არალეგალია, ცოტას უხდიან.



გამეხარდება, თუ ჩვენი მოქალაქეები ევროპაშიც თავისუფლად ივლიან და რუსეთშიც.

***– ვიზალიბერალიზაციის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ საქართველო მოსახლეობისგან დაიცლება.***

– ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. ვისაც წასვლა უნდოდა, უკვე წავიდა. ჩემი აზრით, უფრო აქეთ ჩამოვლენ ჩვენი მოქალაქეები, მართალია, დროებით, მაგრამ მთავარია, რომ ჩამოვლენ და დიდი ხნის უნახავ ოჯახის წევრებს და ნათესავებს ნახავენ.

***– თქვენ იმედი გაქვთ, რომ რუსეთიც დააწესებს უვიზო მიმოსვლას. არსებობს ვარაუდი, რომ მათგან ვიზალიბერალიზაციაზე რეაქცია პროვოკაცია იქნება. ამას გამორიცხავთ?***

– კაცმა არაფერი არ უნდა გამორიცხო, მაგრამ არც ადგილზე უნდა გავშეშდეთ, აქაოდა, რუსეთმა პროვოკაცია არ მოგვიწყოსო. იმისთვის, რომ პროვოკაცია არ მოგვიწყონ, მათთან დიალოგი უნდა დავიწყოთ. ხშირად მომისმენია, რომ რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას თუ აღვადგენთ, მათ წისქვილზე დავასხმათ წყალსო. სინამდვილეში კი პირიქით არის.

***– პირიქით როგორ?***

– რუსეთს აფხაზეთის და სამაჩაბლოს სახით, ჩვენი ვალი აქვს და თუ არ დაველაპარაკებით, მათთვის უკეთესია. დიალოგი ჩვენთვისაა სასარგებლო და რაც შეიძლება ბევრი უნდა ვილაპარაკოთ, იქნება რამე გამოვტყუოთ.

***– გამოტყუებით თავის დროზე უკვე გამოვტყუეთ რაღაც.***

– ეგ იმიტომ გამოვტყუეთ, რომ მაშინდელ ხელისუფლებებს სხვა მიზნები ჰქონდათ. ხელისუფლება თუ სერიოზულად მიუდგება ამ საკითხს, შეიძლება რუსეთს ჩვენი ტერიტორიები გამოვტყუოთ. ახლა, როგორც არასდროს, ისეა მომწიფებული სიტუაცია საჩვენოდ. აფხაზებიც ისეთ დღეში არიან, აუცილებლად დაგველაპარაკებიან.

***– დარწმუნებული ხართ, რომ დაგველაპარაკებიან?***

– იქ ისეთი მძიმე და დაძაბული ვითარებაა, რომ დაგველაპარაკებიან.

***– რა ხდება ამისთანა აფხაზეთში?***

– გაქანებული აფხაზეთის არმენიზაცია მიდის. ამის შესახებ ყველა ინფორმირებულია, მაგრამ ვერც პარლამენტი ბედავს ხმის ამოღებას, ვერც მთავრობა. ერთადერთი, ვინც ამ თემაზე ხმა ამოიღო, პატრიოტთა ალიანსია.

ჩვენმა ადა მარშანიამ რამდენიმე კვირის წინ დააყენა საკითხი, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით დახურული სხდომა გამართულიყო. სამწუხაროდ, ეს ყურად არავინ იღო, არადა საქმე ძალიან სერიოზულად არის. ხელისუფლების ასეთმა დამოკიდებულებამ ძალიან გაგვაბრაზა და ამიტომაც ავტეხეთ მე და მარშანიამ პარლამენტის სხდომაზე მაგიდაზე ხელების ბრახუნი.

***– მაშინ ამაზე ასეთი განმარტება გააკეთეთ – ეშმაკებს ვდევნიდითო.***

– ნაწილობრივ ეშმაკებსაც ვდევნიდით. ამის გაკეთება აუცილებელია. ქვეყანაში მეხუთე კოლონამ მყარად მოიკიდა ფეხი და ისინი არ გაგვახარებენ. დღევანდელ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი არის ლუსტრაცია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ იმ ხალხის ვინაობა, რომლებიც სხვა ქვეყნებზე მუშაობენ.

***– ლუსტრაციის კანონის მიღების აუცილებლობაზე დიდი ხანია მიდის საუბარი, მაგრამ ეს არც ერთმა ხელისუფლებამ არ მიიღო.***

– ამის მიღება არც ახლანდელ ხელისუფლებას არ უნდა. ეს ყველაფერი კი მათთვის კარგად არ დამთავრდება.

***– რას გულისხმობთ?***

– მაქვს ინფორმაცია, რომ ძალიან მალე ქვეყანაში ახალი ძალით იფეთქებს ეროვნული მოძრაობა და ხალხი თავად მოახდენს ჩინოსნების ლუსტრირებას. მინდა პოლიტიკოსებმა იცოდნენ, რომ ვინც სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობენ, ისტორიულ სანაგვეზე აღმოჩნდებიან.

***– იმისთვის, რომ ლუსტრირება მოხდეს, საჭიროა სათანადო დოკუმენტების შესწავლა, რაც სპეცსამსახურების პრეროგატივაა. ხალხს საიდან უნდა ჰქონდეს ამ მასალებზე წვდომა?***

– იმისთვის, რომ ნამდვილი ლუსტრირება მოვახდინოთ, ჯერ ქვეყნის უშიშროება უნდა გაიწმინდოს. ამდენი წელია დამოუკიდებლები ვართ და ვერაფრით ველირსეთ ისეთ სპეცსამსახურებს, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს დაიცავს.

ლუსტრაცია ასეთი იოლი არ არის, მაგრამ ხალხმა თუ მოინდომა, წინ ვერავინ დაუდგება. საქართველო პატარა ქვეყანაა, აქ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და ყველას გვაქვს ერთმანეთზე რაღაც ინფორმაციები. ასევე არ უნდა დავივიწყოთ ის ხალხი, რომლებიც წლების მანძილზე ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდნენ. მათ ბევრი რამე იციან და ეროვნულ მოძრაობას ძალიან დაეხმარებიან.

ვურჩევ ხელისუფლებას, თავად დაიწყოს ეს პროცესი. ვიდრე უშიშროება არ გაიწმინდება, საქართველოში არჩევნების ჩატარებას აზრი არ ექნება. ისეთი ვითარებაა, რომ პოზიციას და ოპოზიციას სუსის ხსენებაც კი აშინებს. არ მესმის იმ დეპუტატების, რომლებიც სიმართლის თქმას ვერ ბედავენ და ქვეყნის პრობლემებზე არ საუბრობენ. იმდენად შეშინებულები არიან, იმასაც არ აპროტესტებენ, რომ აფხაზეთში გაქანებული არმენიზაცია მიდის.

აფხაზეთში მცხოვრები სომხების რაოდენობამ უკვე 100.000-ს გადააჭარბა. აფხაზები გადარეულები არიან და შველას ითხოვენ საქართველოს ხელისუფლებისგან.

***– ეს შველა ოფიციალურად ითხოვეს?***

– ცოტა ხნის წინ მე აქ აფხაზები მყავდა ჩამოყვანილი. მათ უმაღლეს დონეზე მოვუწყვეთ შეხვედრები. შედეგი იყო ნული, ხელისუფლებას აფხაზეთი არ აინტერესებს. ჩვენ თავად არ გვინდა მათი დაბრუნება. ასე ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღდგება.

***– ზემოთ თქვით, რომ ადა მარშანიამ აფხაზეთის თემაზე დახურული სხდომის მოწვევა მოითხოვა. საგაზაფხულო სესიაზეც დააყენებთ ამ საკითხს?***

– აუცილებლად. აფხაზეთის თემაზე გაუთავებლად ვისაუბრებთ. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ხალხს დაკარგული ტერიტორიები დაავიწყოს. მეტიც, ცდილობენ, ეს საკითხი არასერიოზულად გადააქციონ.

როცა პარლამენტში მთავრობის დამტკიცების საკითხი განიხილებოდა, სიტყვით გამოსვლისას მათ შევთავაზე, რომ აფხაზეთიდან დევნილებს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილს თემურ ალასანია მართავდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი, ყოფილი დეპუტატი მირიან მირიანაშვილი, რომელმაც თავის დროზე ნაციონალური მოძრაობა დააფუძნა, წიგნის გამოცემას აპირებს. მასში სააკაშვილზე ბევრი ისეთი ფაქტი აისახება, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. „ახალი თაობა" მირიან მირიანაშვილს ესაუბრა**

**მირიან მირიანაშვილი:**

— წიგნის დაწერა ადრევე მინდოდა, მაგრამ, როცა გოგა ხაინდრავამ დაიწყო ცნობილი ფილმის გადაღება სააკაშვილის რეჟიმზე, თავი შევიკავე. ფილმის გამოსვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ამ თემაზე ბევრი სათქმელი დარჩა. მაგალითად, არ ასახულა, თუ ვინ მართავდა სააკაშვილსა და საქართველოს 10 წლის განმავლობაში, როგორ აღმოჩნდა ის ქვეყნის სათავეში, როგორ ჩაიგდო ხელში სხვისი პარტია. ფილმში ყურადღება გამახვილებულია სადიზმზე, რომელზეც საზოგადოება ისედაც ინფორმირებულია. სააკაშვილი შევარდნაძის ხელისუფლებაში ყველაზე კომიკური ფიგურა იყო. ვერავინ წარმოიდგენდა მის პრეზიდენტობას.

***— ვინ მართავდა სააკაშვილს?***

— მისი ბიძა თემურ ალასანია თავის სამეგობროსთან ერთად. მათი მეშვეობით საქართველოში ყველაფერს წყვეტდა რუსეთის უშიშროება, განსაკუთრებით — ოპერატიულ საკითხებს.

***— თუ კომიკური ფიგურა იყო, რატომ შეარჩიეს?***

— მას ისეთი თვისებები ჰქონდა, რომლებიც ზედგამოჭრილი გამოდგა გარედან მართული თოჯინასათვის. ჯერ ერთი, სააკაშვილი მორალისაგან დაცლილი, უგუნური და გართობას გადაყოლილი კაცი იყო, მეორეც, მისთვის სამშობლო არაფერს წარმოადგენდა, გარდა ამისა, სადიზმისადმი მიდრეკილებებიც ჰქონდა.



## „მათი მეშვეობით საქართველოში ყველაფერს რუსეთის უშიშროება წყვეტდა“

საქართველოს მდიდარ ისტორიაში სააკაშვილისნაირად საუკეთესოდ დამპყრობლის დავალებები არავის შეუსრულებია. მას გარკვეული ფუნქციები 2002 წლიდან დააკისრეს. ამ დროიდან მოყოლებული, მისგან ხელოვნურად ქმნიდნენ ლიდერს, თან პროამერიკელს.

***— ასეთი იმიჯი მას ახლაც აქვს.***

— ბუნებრივია. მისთვის ასეთი იმიჯი აუცილებელია. ძალები, რომლებიც სააკაშვილს ისევ მართავენ, ახლა მას უკრაინაში იყენებენ. წიგნი, რომელშიც სააკაშვილს ნიღაბი ჩამოეხსნება და რომელიც დოკუმენტებს ეფუძნება, პირველად სწორედ უკრაინაში გამოვა.

***— სააკაშვილს ფანები საქართველოში ჰყავს. უკრაინაში მისი მომხრეები, ფაქტობრივად, არ არიან და რა მიზანი აქვს მასზე წიგნის უკრაინაში გამოცემას?***

— მას ჩამოეცლება ის შეფუთვა, რომლითაც ჯერ საქართველოს პოლიტიკაში შემოუშვეს, შემდეგ კი უკრაინაში მიავლინეს. მისთვის ნიღბის ჩამოხსნა აუცილებელია. რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში მანამდეც აქტიურობდნენ, მაგრამ სააკაშვილის დროს ხელისუფლება მთლიანად დეკორაციად იქცა, ქვეყანამ კი სახელმწიფოებრიობა დაკარგა.

დღეს სააკაშვილი აქტიურობს უკრაინის პოლიტიკაში, სადაც თავისი პატრონების დავალებებს ასრულებს იმავე პროამერიკული იმიჯით. მას კვალი შეუნარჩუნდა საქართველოს პოლიტიკაშიც ნაციონალური მოძრაობის სახით.

***— 20 იანვრის ყრილობიდან რა დასკვნების გამოტანა შეიძლება?***

— სააკაშვილი დარჩა ქართულ პოლიტიკაში. ნაცმოძრაობის ვითომ დაყოფა რომ დადგმული სცენარი იყო, ამაზე ადრეც მისაუბრია. დღეს სააკაშვილი გაუთავებელ კვეხნაშია და აცხადებს, რომ რუს ოლიგარქ ივანიშვილს უნდოდა მისი პარტიიდან გაძევება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სააკაშვილს თავი მოაქვს იმით, თითქოს პარტიიდან თვითონ გააძევა შეთქმულების მომწყობები.

***— სააკაშვილმა გაიმარჯვა?***

— მისი დამარცხება იქნებოდა, პარტიას ყრილობაზე რომ მიეღოთ გადაწყვეტილება მისი პარტიისაგან ჩამოცილების თაობაზე. ეს არ მომხდარა. სააკაშვილის კიდევ ერთი სატრაბახო თემაა, რომ მას სასამართლო ვერ მოუწყვეს.

***— სერიოზული სასამართლო მართლაც ხომ ვერ მოუწყვეს?***

— დიახ. ვერ გაასამართლეს. არადა, უამრავი სამხილი აქვთ, ბრალად კი რამდენიმე პიჯაკის ყიდვა წაუყენეს. ხელისუფლებამ თავიდანვე ვერ გაბედა ეს თუ გარედან ჩარევის შედეგად, ამას მნიშვნელობა არ აქვს. უკრაინაში სააკაშვილს საკვეხნად აქვს, რომ ბიძინა ივანიშვილს დაურეკა, თითი დაუქნია და მისი გასამართლება ვერ გაბედეს.

სააკაშვილის გაძლიერებასა და ტრაბახის კასკადს წერტილი რომ დაესვას, ამისთვის მასზე სიმართლის გავრცელებაა საჭირო. საქართველოს ხელისუფლებამ მას ვერაფერი დააკლო. იგი ქართულ პოლიტიკაში რჩება. წიგნი სააკაშვილის შესახებ უკრაინელებსაც აუხელს თვალს. მოგვიანებით ეს წიგნი საქართველოშიც გამოიცემა.

# „სოხუმი თბილისისგან შველას ითხოვს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

აფხაზეთში სახლები უყიდონ. ჩემი წინადადება საქილიკოდ გახადეს, ირონიულად კითხულობდნენ, კვიციანს მარსზეც ხომ არ უნდა რამის ყიდვაო.

***— აფხაზეთში დევნილებისთვის სახლების შეძენა რეალურად არის შესაძლებელი?***

— ამას სომხეთის ხელისუფლება თუ აკეთებს, ჩვენ რატომ არ უნდა გავაკეთოთ. აფხაზეთიდან დევნილების ნაწილი დღეს რუსეთის მოქალაქეა და მათთვის აფხაზეთში უძრავი ქონების ყიდვა უფრო ადვილია. ხელისუფლება მათ ფულით უნდა დაეხმაროს. ამ ინიციატივის საპასუხოდ მთავრობამ კითხვა დამისვა, როგორ უნდა მოხდეს პროცესის გაკონტროლებაო. ამ პროცესსაც თუ ვერ გააკონტროლებთ, რად გინდათ ან სუსი და ან შსს.

აფხაზეთის მსგავსად, ხელისუფლებას არც ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა აინტერესებს. არადა ქართველები გადაშენების პირას ვართ. ამ საკითხზე ხმასაც კი არავინ არ იღებს.

## „გაზაფხულიდან პოლიტიკოსების მასობრივი ლუსტრაცია იწყება“

***— როგორ არ იღებენ, რამდენჯერმე იყო საუბარი გაეროს მონაცემებზე, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 2050 წლისთვის ლამის გადაშენების პირას ვიქნებით.***

— ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ არაფერი გამოსწორდა, უფრო ადრე დავწყდებით, ვიდრე გაერო ფიქრობს. ჩვენი დემოგრაფიული მდგომარეობა ისედაც მძიმე იყო, მაგრამ ბოლო წლებმა ხალხს სულ ბოლო მოუღო. რაც სისხლიანი 9 წლის განმავლობაში ნაციონალებმა დააკლეს, ამათ დაუმატეს.

***— ამათ რა დაუმატეს?***

— ეს ხელისუფლება ხალხს ქუჩაში არ ხოცავს, მაგრამ მათმა უმოქმედობამ გაუხეთქა ხალხს გულები. უკვე 5 წელია, ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას. იცით, რა საშინელებაა, როცა ხედავ, რომ ჯალათი ქუჩაში თავისუფლად დასეირნობს?! „ოცნება“, ერთი მხრივ, ხალხს ღვიძლზე და თირკმელებზე მკურნალობს, მეორე მხრივ კი, დამნაშავეების დაუსჯელობით გულებს უხეთქავს.

# ანა ნაცვლიშვილი: „პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნების გათვალისწინებით უნდა აქციოს კანონად ე.წ. მესამე ტალღა“



— ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარლამენტმა არსებითად უნდა განიხილოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, ამ შენიშვნების გათვალისწინებით, კანონად აქციოს ე.წ. მესამე ტალღა.

ამის შესახებ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილმა სასამართლო რეფორმის საკითხზე პრეზიდენტსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, პრეზიდენტის შენიშვნები და მათი ლოგიკა ეყრდნობა ვენეციის კომისიის მოსაზრებებს.

— როგორც ჩვენ გავეცანით, ამომავალი პრინციპი არის სასამართლოს და ინდივიდუალური მოსამართლეების გაძლიერება. ამიტომ, შეუძლებელია ამ მოსაზრებებს არ დაეთანხმო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარლამენტმა არსებითად უნდა განიხილოს ეს მოტივირებული შენიშვნები და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, ამ შენიშვნების გათვალისწინებით, კანონად აქციოს სასამართლო სისტემის რეფორმის ე.წ. მესამე ტალღის კანონპროექტი, — განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქართველ ხალხს ევროპარლამენტის გადაწყვეტილება მიულოცა



— მოგესალმებით, როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი იმ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის გადმოსახედიდან, რომელიც გუშინ გადაიდგა საქართველოსთან მიმართებაში. საქართველო ძალიან კარგ ხაზზე დგას, სწორ გზას მიუყვება და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები უფრო და უფრო ძლიერდება, — განაცხადა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სებასტიან კურცმა, რომელიც საქართველოს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის რანგში ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული ერთობლივი პრესკონფერენციისას საქართველოს და ავსტრიის საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის განსაკუთრებულ მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობებს. მიხეილ ჯანელიძემ მადლობა გადაუხადა სებასტიან კურცს საქართველოს პირადი მხარდაჭერისთვის და აღნიშნა მისი ძალისხმევა ეუთო-ს სამუშაო პროგრამაში საქართველოს საკითხის ერთ-ერთ წამყვან პრიორიტეტად განსაზღვრისათვის.

— უაღრესად ვაფასებთ, ავსტრიის მთავრობის მტკიცე და თანმიმდევრულ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის და ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესში, — აღნიშნა მიხეილ ჯანელიძემ.

თავის მხრივ, ორმხრივ ურთიერთობებზე საუბრისას სებასტიან კურცმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის საელჩოს გახსნის მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებას.

სებასტიან კურცმა მაღალი შეფასება მისცა ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივას და აღნიშნა, რომ ავსტრიული კომპანიები კმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოში შექმნილი ბიზნესგარემოს გამო.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველო-ეუთოს თანამშრომლობის საკითხებს. ქართული მხრიდან კიდევ ერთხელ აღინიშნა ეუთოს ჩართულობის მნიშვნელობა, როგორც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში, ასევე ეუთოს მონაწილეობა ომით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის მექანიზმის ეფექტური განხორციელებისათვის. მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა. შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას ეუთო-ს დამოუკიდებელ ინსტიტუტებთან ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და აღინიშნა საქართველოს მიღწევები ამ კონტექსტში.

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე თბილისს 2 თებერვალს ესტუმრა. სებასტიან კურცის ვიზიტი ეუთო-ს თავმჯდომარეობის დასაწყისში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო ორგანიზაციის პოლიტიკურ დღის წესრიგში რჩება და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება ავსტრიის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

**ნიუსპრესი**

# ფედერიკა მოგერინი: „ევროპა დაინტერესებული არ არის, რუსეთი სუსტი სახელმწიფო იყოს“



— ევროპა დაინტერესებული არ არის იმაში, რომ რუსეთი სუსტი სახელმწიფო იყოს, — განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ ჩორრიერე დელლა შერა-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

— მე დავეჭვდებოდი რუსეთის რეალურ ძალაში, ქვეყანა, რომელსაც ძირს უთხრის ეკონომიკური კრიზისი. რუსეთის შიდა პრობლემები კარგად შენიღბულია საერთაშორისო და სამხედრო პოლიტიკის დინამიკით. ევროპა არ არის დაინტერესებული სუსტ და კრიზისში მყოფ რუსეთში, — განაცხადა ფედერიკა მოგერინიმ.

მოგერინიმ აღნიშნა, რომ „რუსეთი და ევროპა განაგრძობენ მუშაობას ისეთ საკითხებზე როგორიც არის ირანის ბირთვული პროგრამა“.

ამავდროულად, მისი თქმით, მას აშფოთებს უკრაინაში შექმნილი ვითარება, ვინაიდან „გრძელდება საზღვრების ძალის გამოყენებით უცვლელობის პრინციპის დარღვევა“.

— რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დარეგულირებას, ავღანეთის საკითხს, მეეჭვება, რომ ტრამპისა და პუტინის დღის წესრიგი ერთმანეთს ემთხვეოდეს, — დასძინა მან.

**ინტერპრესნიუსი**

# „მქონდა ჩანაწერი, როგორ მიმართა შევარდნაძემ კრემლს გამსახურდიას წინააღმდეგ სამხედრო დახმარებისთვის“

## განდევნილი ქართველის ბედი

**ჩეხეთის რესპუბლიკა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის, ზურაბ ნადირაძის დეპორტაციას მოახდენს.**

მისი ექსტრადირების საკითხის განხილვა 20 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

ამის შესახებ ჩეხური გამოცემა წერს.

* * *

ზურაბ ნადირაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის თხოვნით, ჩეხეთში 1996 წელს დააკავეს.

1994 წლის იანვარში ზურაბ ნადირაძემ, გრიბოედოვის ქუჩაზე, თითქოსდა ცეცხლსასროლი იარაღიდან, ჩხუბის დროს გიორგი ქოიავა, გრიგოლ ნატროშვილი, გიორგი კირკიტაშვილი და იოსებ ქოიავა დაჭრა, რომელთაგან ერთ-ერთი მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საქართველოს პოლიციამ ზურაბ ნადირაძე „ხულიგნური განზრახვით“ მკვლელობაში დაადანაშაულა, თუმცა მან ქვეყნის დატოვება მოასწრო და ბუდაპეშტში გადავიდა, სადაც საკუთარი კომპანია გახსნა.

ყოფილ ჩინოვნიკზე ძებნა გამოცხადდა და მას დაუსწრებლად 18 წლით საპყრობილეში ყოფნა აღკვეთა მიუსაჯეს. თვითონ ზურაბ ნადირაძე აცხადებს, რომ მკვლელობა არ ჩაუდენია და მის სამართლებრივ დევნას პოლიტიკური მოტი-



ვები აქვს: თითქოსდა იგი მიუღებელი პიროვნება გახდა საქართველოს სათავეში მდგომი მმართველი წრეებისათვის, კერძოდ კი, ედუარდ შევარდნაძისათვის, რომელიც თავდაპირველად ჯერ სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ კი ქვეყნის პრეზიდენტი იყო.

საქართველოს ხელისუფლების სურვილს მისი ექსტრადირების თაობაზე ზურაბ ნადირაძე იმით ხსნის, რომ მას თავის დროზე საიდუმლო მონაცემების გაცნობის ნებართვა გააჩნდა.

იგი დარწმუნდა, რომ ქვეყნის ხელისუფლება რუსეთთან ფარულად თანამშრომლობდა.

— მე მქონდა ჩანაწერი, რომელშიც რუსი ოფიცრები ჰყვებოდნენ, თუ როგორ მიმართა ედუარდ შევარდნაძემ კრემლს სამხედრო დახმარების გაწევის მიზნით, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული ძალების წინააღმდეგ. ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა ედუარდ შევარდნაძის განცხადებას, რომელიც თითქოსდა მოსკოვისგან ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მომხრე იყო, — განაცხადა ზურაბ ნადირაძემ ჩეხეთის გამოცემა „ნოვინკი“-სათვის მიცემულ ინტერვიუში.

თავდაცვის სამინისტროს ექსმაღალჩინოსნის თქმით, ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული მის ხელთ არსებული კომპრომატის შესახებ გაიგო შოთა კვირაიამ, რომელიც იმ დროს საქართველოს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობდა. იგი 2011 წელს მოსკოვში გარდაიცვალა.

— შოთა კვირაიამ ისარგებლა იმით, რომ მე იმ რესტორანში ვიყავი, სადაც სროლა ატყდა. მიუხედავად იმისა, რომ მე სულ სხვა სართულზე ვიჯექი და რესტორნიდან სროლის ატეხვამდე წავედი, პოლიციამ მომხდარ ფაქტში მე დამადანაშაულა, — ამბობს ზურაბ ნადირაძე, რომელსაც ინტერპოლი 2000 წლიდან ეძებს.

* * *

ჩეხეთის პოლიციამ ზურაბ ნადირაძე რამდენჯერმე დააკავა, მაგრამ სასამართლო ექსტრადირების შესახებ საქართველოს თხოვნას არ აკმაყოფილებდა. ზურაბ ნადირაძის მტკიცებით, მისი პირველივე დაკავების დღიდან ჩეხეთის სამართალდამცველ ორგანოებს ქართული პოლიციის მიერ შედგენილი იმ ოქმის გაცნობას სთხოვდა, რომელიც მან ქართულიდან ჩეხურ ენაზე გადათარგმნა.

— მე პატიმრობის მოხდის მზადყოფნა გამოვხატე, თუ ვინმე ამ ოქმში ჩემი ბრალის მტკიცებულებებს ნახავდა. ამ დოკუმენტში მსგავსი არაფერი არ არის, რადგან მე მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩამიდენია, — ამბობს ზურაბ ნადირაძე, რომელმაც ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თავშესაფრის მიღების თხოვნით მიმართა.

მაგრამ ჩეხეთის იუსტიციის სამინისტრო დაეთანხმა საქართველოს მორიგ თხოვნას ზურაბ ნადირაძის ექსტრადირების თაობაზე. შესაბამისად, რამდენიმე უფლებადამცველი ორგანიზაციის პროტესტის მიუხედავად, იგი საქართველოს ხელისუფლებას გადაეცემა.

— ჩემი კლიენტის დეპორტირება იუსტიციის მინისტრმა რობერტ პელიკანმა 12 იანვარს დაადასტურა, — ამბობს ზურაბ ნადირაძის ადვოკატი იან სხეიბალი.

იუსტიციის სამინისტროში „პრაჟსკი ტელეგრაფის“ კითხვა უპასუხოდ დატოვეს. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოში შეგვახსენეს, რომ 2016 წლის ივლისში მათ არ დაუკმაყოფილებიათ ზურაბ ნადირაძის ის სარჩელი, რომლის მიხედვით, იგი ჩეხეთის პოლიციას უჩივის თავშესაფრის მიცემაზე უარის გამო.

ამჟამად ზურაბ ნადირაძე, ადვოკატთან ერთად, იმ დოკუმენტებს აგროვებს, რომლებიც აუცილებელია ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსადმი მიმართვისთვის:

— ბარგი უკვე ჩალაგებული მაქვს, მაგრამ საქართველოში არ დავბრუნდები, მე იქ ციხე მელოდება. უკან არ დავიხევ და ჩემი უფლებების დაცვისათვის ბრძოლას გავაგრძელებ, — განაცხადა მან.

**ნიუსპრესი**

# პროკურატურა: რუსთაველზე ავტოავარიაში ბრალდებულ გიორგი ჯაფარიძეს მარიხუანის მოხმარება დაუდგინდა

სამართალდამცავებმა რუსთაველის გამზირზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე „მერსედესის“ მძღოლი დააკავეს.

შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 24 იანვარს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი, 1993 წელს დაბადებული გიორგი ჯაფარიძე ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიების ფარგლებში დანიშნული ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნების საფუძველზე დადგინდა, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც გიორგი ჯაფარიძე მართავდა, საპირისპირო ზოლში გადავიდა და შემხვედრი მიმართულებით მოძრავ „ოპელისა“ და „მერსედესის“ მარკის ავტომანქანებს შეეჯახა.

შეჯახების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა „ოპელის“ მგზავრი სოფო ბ. და დაშავდა 4 ადამიანი.

საპატრულო პოლიციამ გიორგი ჯაფარიძე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავა.

* * *

საქართველოს პროკურატურამ სასამართლოს გიორგი ჯაფარიძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართა.

პროკურატურის განცხადებით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 24 იანვარს, დაახლოებით 23:30 საათზე, ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე გიორგი ჯაფარიძემ, რომელიც მართავდა „მერსედესის“ მარკის ავტომობილს, დაარღვია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მის წინ თანმხვედრად მიმავალ ავტომობილზე გასწრების მიზნით გადაკვეთა ორმაგი უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა სავალი გზის საპირისპირო ზოლში, სადაც შეეჯახა „ოპელის“ მარკის ავტომობილს, რომელსაც მართავდა ნუგზარ ხაჯალია და „მერსედესის“ მარკის ავტომობილს, რომელსაც მართავდა მექი დანელია.

ავტოავარიის შედეგად ავტომობილ „ოპელის“ მგზავრი სოფიო ბერიძე მიღებული დაზიანების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, მგზავრმა მურმან ფალიანმა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება, ხოლო მექი დანელიამ და ნუგზარ ხაჯალიამ მიიღეს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებები.

სატრანსპორტო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ავტოსატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეული იყო გიორგი ჯაფარიძის მიერ საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევის შედეგად. ასევე, ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად გიორგი ჯაფარიძეს ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუ-



ანა) მოხმარების ფაქტი.

2017 წლის პირველ თებერვალს ბრალდების მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა გიორგი ჯაფარიძის დაკავების შუამდგომლობით, რაც სასამართლოს მიერ 2 თებერვალს დაკმაყოფილდა.

3 თებერვალს გიორგი ჯაფარიძე დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით და წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი, მესამე და მეხუთე ნაწილებით.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი, მესამე და მეხუთე ნაწილებით, რაც თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით, ასევე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სამ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

# ფიქრია ჩიხრაძე: „უცნაურია პრეზიდენტის ვეტოზე ასეთი დამოკიდებულება“

— დაბარების თემა ძალიან უცნაური ტერმინია შემოტანილი მთელ ამ ურთიერთობებში. თუ უმრავლესობას შეხვედრის ასეთი ფორმატი არ მოსწონს, მაშინ გვითხრან, რა ტიპის ფორმატი უნდათ და მზად ვართ, მივიღოთ და გავითვალისწინოთ.

ამის შესახებ პრეზიდენტის პოლიტიკურმა მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დეპუტატებსა და არასამთავრობო სექტორთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ფიქრია ჩიხრაძემ აღნიშნა, საპარლამენტო ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან „ძალიან მნიშვნელოვანი განხილვები გაიმართა“.

— სამწუხაროა, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ ამ განხილვებში მონაწილეობა არ მიიღო. მოვისმინეთ რა მათი კომენტარები, ცხადად შემიძლია გითხრათ — არა მარტო ვეტოს დადების შემდეგ, არამედ მანამდეც იყო, როგორც ჩვეულებრივი კომუნიკაცია უმრავლესობასთან, ასევე ოფიციალური წერილები, — განაცხადა ფიქ-



რია ჩიხრაძემ და დღესვე პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მედიისთვის ასეთი წერილები გაასაჯაროვა. აქედან ერთი არის პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის სახელზე.

როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა აღნიშნა, არც ერთ ეტაპზე საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან არ ყოფილა გამოხმაურება და ახლა „უცნაურია პრეზიდენტის ვეტოზე ასეთი დამოკიდებულება“ .

— ძალიან უცნაურია, როდესაც ამა თუ იმ საკითხზე, კანონის თანახმად, კონსტიტუციის თანახმად მსჯელობაზე (ვეტოც კონსტიტუციური ნაწილია პრეზიდენტის უფლებების), ხდება ასეთი უცნაური დამოკიდებულება უმრავლესობის მხრიდან. ვეტო ემსახურება არა დაპირისპირებას და წინააღმდეგობაში მოსვლას ვინმესთან, არამედ იმას, რომ როდესაც განიხილება ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე საკითხები, თუ რამე დააკლდა, გავასწოროთ ეს ხარვეზები. ჩვენ შეგვეძლო, რომ უკეთესი გაგვეკეთებინა, უფრო დამოუკიდებელი სასამართლო და გაძლიერებული მოსამართლეები მიგვეღო, თუ პრეზიდენტის ამ შენიშვნებს გავითვალისწინებდით. ამ შენიშვნების გარეშე ვერ მივიღებთ უკეთესს, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

**ინტერპრესნიუსი**




# ტრანსგენდერ ზიზი შეყილაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულს 13 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ტრანსგენდერი ქალის, ზიზი შეყილაძის მკვლელობის საქმეზე გიორგი მურჯიკნელს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმის მასალების თანახმად, 2011 წელს გიორგი მურჯიკნელი და გარდაცვლილი პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდიდან იცნობდნენ ერთმანეთს.

2016 წლის 14 ოქტომბერს მათ შეხვედრისას, ნასვამ მდგომარეობაში მყოფებს, მოუვიდათ ურთიერთშელაპარაკება და ბრალდებულმა ზიზი შეყილაძეს, აგრესიული ქცევის საპასუხოდ, ბეტონის სამშენებლო ფილა ჩაარტყა თავში და სამზარეულოს დანით ყელის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან კიდევ ერთხელ ჩაარტყა ბეტონის ფილა ზიზი შეყილაძეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულმა განმარტა, რომ დანაშაული უეცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა.

საქმეში წარმოდგენილ და სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, სასამართლომ გიორგი მურჯიკნელი დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობაში.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, თუმცა წარსულში ჩადენილი სხვა დანაშაულის მოუხდელი ნაწილიდან დაემატა 3 წელი და ბრალდებულს განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლარიზაციის გეგმამ არ გაამართლა

ნონა ცაბაძე

**ლარიზაციის შესახებ „ახალი თაობის" კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია პასუხობს.**



**ემზარ ჯგერენაია: „მოსახლეობის ძალიან დაბალმა პროცენტმა გადაიტანა სესხი დოლარიდან ლარში"**

***— ბატონო ემზარ, აქციზებზე ფასების მატებამ, სავავის გაძვირებამ ფასების ზრდა გამოიწვია. რამდენ ხანს გაგრძელება ქვეყანაში ასეთი რთული პერიოდი?***

— იანვარი და თებერვალი ისედაც მძიმე თვეებია ბიზნესისთვის. პირველი იმიტომ, რომ შემცირებულია საქონელბრუნვა, ამის გამო ბიზნესი არ არის თავის ჩვეულ რიტმზე გადასული. ეს პროცესი აისახება ეკონომიკაზე. მთელი წლის განმავლობაში ეს ორი თვე ყველაზე ნაკლებად მზარდი თვეებია. თებერვალიც საკმაოდ მძიმე იქნება და მარტიდან უკვე დაიწყება გამოცოცხლების პროცესი ეკონომიკის თვალსაზრისით.

***— აქციზების გაზრდა რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო?***

— ბუნებრივია, რომ აქციზების ზრდას მოყვება ფასების გაზრდა, ეს უკვე სახეზე გვაქვს და როდესაც ამოიწურება რეზერვები, მისი ბაზარიც, მარტის თვიდან დაჯდება რეალურ ფასზე, რომელიც უნდა იყოს. შემცირდა იმპორტი, შემცირდა დოლარზე მოთხოვნა და თქვენ ნახეთ, ეს ლარის გაცვლით კურსზე როგორ აისახა. მან მეტ-ნაკლებად წონასწორობის ახალი წერტილი ნახა.

თუმცა, რადგან იმპორტი შემცირდა, მცირდება ეკონომიკაც.

***— ლარიზაციის პროცესი ჯერჯერობით დადებითად არ ასახულა ლარის კურსსა და ქვეყნის ეკონომიკაზე. არ გაამართლა ამ გეგმამ?***

— ასე უცებ ვერც აისახებოდა. ეს საკმაოდ რთული პროცესია, ბევრი დეტალი დასახვეწია, ბევრი ნიუანსი ხელახლა გასაკეთებელი. ჩვენ შევხვდით ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ვისაუბრეთ ბევრ საკითხზე.

ეროვნულმა ბანკმა გააკეთა ახალი პროდუქტი — კალკულატორი სესხების. როგორ გადაიყვანონ სესხები ლარში, რა უპირატესობას აძლევს. დღითიდღე იქმნება ახალი პროდუქტები ეროვნული ბანკის მხრიდან, ხდება მისი პოპულარიზაცია, მაგრამ ეს იმდენად უჩვეულო მოვლენაა, იმდენად ნოუ-ჰაუა, რომ საჭიროებს სერიოზულ მიდგომებს.

***— ლარიზაციასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ბევრი კითხვა გაჩნდა.***

— ხალხი ასე ფიქრობს — რომ გადავიტანო ჩემი სესხი ლარში, ეროვნულმა ბანკმა რომ გაზარდოს საალრიცხვო პროცენტი, მერე მე რას ვშვრები? მაშინ ხომ სესხის პროცენტიც გაიზრდება. აი, ეს საკითხი აწუხებს ყველა მსესხებელს.

***— რა პროცენტმა გადაიტანა სესხი დოლარიდან ლარში?***

— ძალიან ცოტამ. მე ეროვნული ბანკის მონაცემსაც გავეცანი. მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდა ამ პროცესს. მოლოდინი სხვა იყო და რეალურად მოლოდინს საკმაოდ დაცილებულია პროცესი. ეს იმიტომ, რომ ადამიანები ძალიან ბევრს ფიქრობენ საბოლოო შედეგზე, ვიდრე ეს ჩვენ გვეგონა.

***— ვერ გათვალა მთავრობამ პროცესი?***

— საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებები კომერციული ბანკების მხრიდან, თუნდაც ეროვნული ბანკის მხრიდან, რომ კიდევ ერთხელ ახსნან პროცესი, რას ნიშნავს ლარიზაცია და საკმაოდ ბევრ კითხვაზე გასცენ პასუხი. ბევრია პასუხგაუცემელი კითხვა.

***— რა აშინებს მოსახლეობას, ლარის არასტაბილურობა?***

— ბევრი საკითხია, რის გამოც უკან იხევს მსესხებელი. მაგალითად, ლარში რომ გადავა, უფრო მეტის გადახდამ არ მოუწიოს. ეს არის მთავარი კითხვა, ყველაზე მეტად სწორედ ამის ეშინიათ. თავს დაზღვეულად ვერ გრძნობენ. საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია ეს დედოლარიზაციის პროცესი. ეს არ შეიძლება, რომ ერთ დღეში და ორ დღეში დასრულდეს და აქედან მივიღოთ შედეგი.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ მოსახლეობაც ძალიან ფრთხილად უდგება ამ საკითხს. ამიტომ ფიქრობენ, 7%-იანი დოლარის კრედიტი ურჩევნიათ, თუ 14%-იანი ლარის კრედიტი.

